ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მერიის სათათბირო ორგანოს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს

სხდომის ოქმი N2

ქ.ბოლნისი

11.02.2019 წ.

სხდომა ჩატარდა 2019 წლის 11 თებერვალი ქ. ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის ქ.N106-ში, მდებარე ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.

საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - **ჯუმბერ გობეჯიშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ირადი უგრეხელიძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

კონსტანტინე კორძაძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;

ნიკოლოზ გობეჯიშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი;

კობა ჟღენტი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი;

მალხაზი სანიკიძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილების უფროსი;

გიორგი რეხვიაშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

ირმა ზურაბაშვილი - ააიპ ბოლნისის ენის სახლი;

მარინა ბჟალავა - ქვემო ქართლის ქალთა ასოციაცია „ქალი და სამყარო";

ლელა კვირკაშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ეკატერინე ნინიაშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

გაბრიელ ავქოფაშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მანანა კობახიძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ციცინო ჯოხაძე - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილება;

თამარ ყურაშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი.

დღის წესრიგი:

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა იმ პროგრამების განხილვა, დახვეწა, რომელიც განსაზღვრულია ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესით.
2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საკითხის განხილვა.

მოისმინეს 1:

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაეხმარების საკითხი, როგორც მატერიალურად, ასევე სამედიცინო კუთხით.

გადაწყვიტეს 1:

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N74 დადგენილების თანახმად, ყოველთვიური მატერიალური დახმარება წლის განმავლობაში გაეწევათ შემდეგ ბენეფიციარებს:

- მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობლობების მქონე 18 წლის ზემოთ პირებს 100 ლარის ოდენობით;
- ოჯახში რეინტეგრირებულ თითოეულ ბავშვს 100 ლარის ოდენობით;
- 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მომვლელს - 150 ლარის ოდენობით;
- 18-დან 26 წლის ჩათვლით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და საჭიროებენ მომვლელის დახმარებას - 150 ლარის ოდენობით;
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს 50 ლარის ოდენობით;
- ყრუ-მუნჯებს - 50 ლარის ოდენობით.

მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ ბავშვებსა და შშმ პირებს სტაციონარში მოთავსების შემთხვევაში დახმარება გაეწევათ:

- სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისთვის არაუმეტეს 1000 ლარისა;
- სამედიცინო კვლევებისთვის არაუმეტეს 500 ლარისა.

18 წლამდე შშმ ბავშვებს, ფიზიოთერაპიისა და სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევათ არაუმეტეს 1000 ლარისა.

სოციალურად დაუცველ 18 წლამდე არასრულწლოვნებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ლოგოპედის მომსახურებით 1000 ლარის ოდენობით, თუ:

- ბავშვი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე;
- არასრულწლოვანი არის ობოლი;
- ბავშვი არის დაავადებული დაუნის სინდრომით, აუტიზმით, ცერებრალური დამბლით;
- ბავშვი სმენადაქვეითებულია (მეოთხე ხარისხის სმენაჩლუნგობა).

მოისმინეს 2:

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების საკითხი..

გადაწყვიტეს 2:

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N74 დადგენილების **თანახმად,** შეზღუდული შესაძლებლობების **მქონე** სტუდენტებს, რომლებიც **სწავლობენ** სახელმწიფო აკრედიტებულ **უნივერსიტეტებში,** ყოველთვიურად ჩაერიცხებათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე,
საბჭოს თავმჯდომარე

ჯუმბერ გობეჯიშვილი

კომისიის წევრები:

ირეოდი უგრეხელიძე

კონსტანტინე კორძაძე

ნიკოლოზ გობეჯიშვილი

კობა ჟღენტი

მალხაზი სანიკიძე

გიორგი რეხვიაშვილი

ირმა ზურაბაშვილი

მარინა ბჟალავა

ლელა კვირკაშვილი

ეკატერინე ნინიაშვილი

გაბრიელ ავქოფაშვილი

მანანა კობახიძე

ციცინო ჯოხაძე

სხდომის მდივანი:

თამარ ყურაშვილი